

## MAIN TRENDS IN FOLKLORISTICS AND THE ROLE AND IMPORTANCE OF STUDYING THE FOLKLORE HERITAGE OF THE LIAKHVI GORGE

ფოლკლორისტიკის ძირითადი ტენდენციები და ლიახვის ხეობის ფოლკლორული მემკვიდრეობის შესწავლის როლი და მნიშვნელობა

**Aleksandre Mgebrishvili**

Doctor of Philological Sciences,  
Professor of Gori State University,  
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,  
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,  
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

**Abstract.** The present work discusses the main theoretical and methodological trends in the development of folklore studies and assesses the role of research on the folklore heritage of the Liakhvi Gorge in the Georgian cultural and scholarly context. The material of the Liakhvi Gorge acquires particular importance as a bearer of regional identity, historical memory, and cultural originality.

Folkloristics, after its formation as a scholarly discipline, gradually developed on the basis of various theoretical approaches. The study of Georgian folklore, in turn, has always been linked to issues of national self-awareness, historical memory, and cultural identity.

The Liakhvi Gorge, as a historically significant region, is a folklore-rich space, where oral texts reflect both everyday life and historical traumas and social change.

At the initial stage of folkloristics, the main goal was to collect folk texts, strengthen national identity, and reveal the “folk spirit” of oral culture. During this period, folklore was perceived as an authentic expression of national identity.

At the turn of the 19th and 20th centuries, a historical-geographical method emerged, the purpose of which was to compare the distribution areas and variants of texts. This approach played an important role in the formation of story typology.

In the 20th century, structural analysis proved decisive in folkloristics. Of particular importance was Vladimir Propp’s morphological model, which determined the functional structure of the fairy tale.

The study of the folklore heritage of a region contributes to the understanding of local identity, the preservation of cultural heritage, and the protection of historical memory.

The material of the Liakhvi Gorge complements the typological map of Georgian folklore, provides opportunities for comparative analysis with other regions, and also creates a basis for interdisciplinary research such as ethnology, anthropology, and linguistics.

The study of the folkloric heritage of the Liakhvi Gorge is particularly important in that it significantly enriches Georgian folklore, preserves cultural memory, contributes to the scholarly understanding of regional identity, and creates a foundation for modern research projects.

Thus, the study of regional folklore is not only a matter of local importance – it is a necessary component of national culture and scholarly self-awareness.

**Key words:** Liakhvi Gorge, folklore, oral texts, cultural memory, regional identity, structural analysis, historical-geographical method.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,  
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,  
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

**აბსტრაქტი.** წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ფოლკლორისტიკის განვითარების ძირითადი თეორიული, მეთოდოლოგიური ტენდენციები და შეფასებულია ლიახვის ხეობის ფოლკლორული მემკვიდრეობის კვლევის როლი ქართულ კულტურულ და სამეცნიერო კონტექსტში. ლიახვის ხეობის მასალა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც რეგიონული იდენტობის, ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული თვითმყოფადობის მატარებელი.

ფოლკლორისტიკა, სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების შემდგომ ეტაპობრივად განვითარდა სხვადასხვა თეორიული მიდგომის საფუძველზე. ქართული ფოლკლორის კვლევა, თავის მხრივ, ყოველთვის დაკავშირებული იყო ეროვნული თვითშეგნების, ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის საკითხებთან.

ლიახვის ხეობა, როგორც ისტორიულად მნიშვნელოვანი რეგიონი, ფოლკლორულად მდიდარი სივრცეა, სადაც ზეპირსიტყვიერი ტექსტები ასახავდა როგორც ყოველდღიურ ყოფას, ისე ისტორიულ ტრავმებსა და სოციალურ ცვლილებებს.

ფოლკლორისტიკის საწყის ეტაპზე მთავარი მიზანი გახლდათ ხალხური ტექსტების შეგროვება, ეროვნული იდენტობის განმტკიცება და ზეპირი კულტურის „ხალხური სულის“ გამოვლენა. ამ პერიოდში ფოლკლორი აღიქმებოდა როგორც ეროვნული თვითმყოფადობის ავთენტური გამოხატულება.

XIX–XX სს. მიჯნაზე გაჩნდა ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდი, რომლის მიზანი იყო ტექსტების გავრცელების არეალისა და ვარიანტების შედარება. ამ მიდგომამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სიუჟეტთა ტიპოლოგიის ჩამოყალიბებაში.

XX საუკუნეში ფოლკლორისტიკაში გადამწყვეტი აღმოჩნდა სტრუქტურული ანალიზი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. პროპის მორფოლოგიურ მოდელს, რომელმაც ზღაპრის ფუნქციური სტრუქტურა განსაზღვრა.

რეგიონის ფოლკლორული მემკვიდრეობის შესწავლა ხელს უწყობს ადგილობრივი იდენტობის გააზრებას, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და ისტორიული მეხსიერების დაცვას.

ლიახვის ხეობის მასალა ავებს ქართული ფოლკლორის ტიპოლოგიურ რუკას, იძლევა შედარებითი ანალიზის შესაძლებლობას სხვა რეგიონებთან, ამასთან, ქმნის ბაზას ისეთი ინტერდისციპლინური კვლევებისთვის, როგორებიცაა ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, ლინგვისტიკა და მისთ.

ლიახვის ხეობის ფოლკლორული მემკვიდრეობის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მნიშვნელოვნად ამდიდრებს ქართულ ფოლკლორისტიკას, ინარჩუნებს კულტურულ მეხსიერებას, ხელს უწყობს რეგიონული იდენტობის მეცნიერულ გააზრებას და ქმნის საფუძველს თანამედროვე კვლევითი პროექტებისთვის.

ამრიგად, რეგიონული ფოლკლორის კვლევა არ არის მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის საკითხი - იგი წარმოადგენს ეროვნული კულტურისა და სამეცნიერო თვითშეგნების აუცილებელ კომპონენტს.

**საკვანძო სიტყვები:** ლიახვის ხეობა, ფოლკლორი, ზეპირსიტყვიერი ტექსტები, კულტურული მემკვიდრეობა, რეგიონული იდენტობა, სტრუქტურული ანალიზი, ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდი.

**შესავალი.** საზოგადოდ, ფოლკლორი ერის სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულებათაგანია. მისი ასახვის ძირითად არეალს წარმოადგენს საზოგადოების მსოფლმხედველობა, რწმენა-წარმოდგენები, კულტურული ღირებულებები და ეროვნული ტრადიციები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მსოფლიოს ყველა კუთხეს ფოლკლორის განვითარების უნიკალური ფორმები გააჩნია, რაც გამოიხატება ზეპირსიტყვიერების ნიუანსებში, მუსიკაში, ცეკვაში, მითებში და ქვეყნის ისტორიებსა და ლეგენდებში, სხვადასხვა სახის რელიგიურ რიტუალებში. ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული ხალხის ისტორიულ, სოციალურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორებთან.

გაზიარებული შეხედულებით, ფოლკლორის ფესვები კაცობრიობის გარიჟრაჟის ეპოქაშია საძიებელი. პრეისტორიული პერიოდიდან ადამიანთა მემკვიდრეობაში შენახული და ზეპირად გადაცემული ამბები ინახავდნენ პირველ წარმოდგენებს სამყაროზე, ღვთაებებზე, ბუნებაზე, ურთიერთობებზე. ასე თანდათანობით იქმნებოდა მითები, ზღაპრები, ლეგენდები. ამ გადმოცემებში, ცხადია, ხშირად ერთვებოდა ყოფითი, ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი ეპიზოდები, ეთიკური ნორმების მსაზღვრელი დეტალები, რაც მათ საგანმანათლებლო და მორალურ ფუნქციასაც აკისრებდა.

ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოქვეყნების ერთ-ერთ უპირველეს მცდელობათაგანს მიეკუთვნება შოტლანდიელი ჯეიმს მაკფერსონის<sup>1</sup> მიერ 1765 წელს გამოქვეყნებული სიმღერები, რომლებიც გამოქვეყნების მტკიცებით ითარგმნა კელტურ ენათა ჯგუფის გელური ენიდან და ეკუთვნოდა მე-3 საუკუნის ირლანდიელ შემოქმედს - ოსიანის. ამ გამოცემამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე.

„ოსიანის სიმღერების გამოჩენა დაემთხვა ევროპაში რომანტიზმის აღმოცენების ხანას. და თუმცა მათი ნამდვილობა მაკფერსონის სიცოცხლეშივე ეჭვის ქვეშ დადგა, მომდევნო საუკუნეში კი მისტიფიკაცია საბოლოოდ დადასტურდა, მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესის გაღვივებაში: სწორედ ამ მისტიფიკაციამ მისცა იმპულსი ფოლკლორული ტექსტების შეკრებას მთელი ევროპის მასშტაბით, რამაც თავის მხრივ საფუძველი დაუდო ახალ დისციპლინას - ფოლკლორისტიკას, რომელიც თავდაპირველად „ხალხურ სიმღერებზე“ (Popular antiquities) იწოდებოდა. მიჩნეული იყო, რომ ხალხური ლექსები, თქმულებები, ზღაპრები და სხვა უხსოვარ წარსულში შეიქმნა და ხალხის ხსოვნამ თანამედროვეობამდე შემოინახა. რომანტიზმმა, რომელიც იმ ეპოქაში ფეხს იდგამდა, ხალხურ შემოქმედებაში ნოყიერი საკვები იპოვა. წარსულის იდეალიზაცია, ბუნებრიობა, ცივილიზაციისგან შეუხებელი

<sup>1</sup> **ჯეიმს მაკფერსონი** (James Macpherson) 1736-1796 - შოტლანდიელი პოეტი. მის სახელს უკავშირდება XVIII საუკუნეში მეტად გახმაურებული წიგნი „ოსიანის სიმღერები“, რომლებიც გელურიდან თარგმნა ჯეიმზ მაკფერსონმა (1765). ეს არის ინგლისურ ენაზე რიტმული პროზით დაწერილი დიდი ეპიკური პოემა, რომლის შემთხვევლად გამოცხადებულია III საუკუნის ლეგენდარული ბარდი შოტლანდიელი გელი-ოსიანი. წიგნი რამდენიმე ევროპულ ენაზე ითარგმნა და ოსიანი „ჩრდილოეთის ჰომეროსად“ ცნეს, ვიდრე არ დადგინდა, რომ პოემა ლიტერატურული მისტიფიკაციაა, ხოლო მისი ავტორი მაკფერსონი იყო. XIX საუკუნეში პოემამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპული რომანტიზმის განვითარებაზე. მაკფერსონი აგროვებდა ფოლკლორულ მასალას, თარგმნიდა გელური ენიდან.

ადამიანის იდეალი - რომანტიზმის ამ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებდა ხალხური შემოქმედება, რომელიც თავისუფალი სულის გამოვლინებად იქნა აღქმული.“ (კიკნაძე, 2008: 333)

**მეთოდები.** ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

**შედეგები და მსჯელობა.** XVIII-XIX საუკუნეებში განსაკუთრებით იზრდება ინტერესი ფოლკლორული მემკვიდრეობისადმი და იდგმება ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები მისი შესწავლის თვალსაზრისით. იმ პერიოდის მოღვაწეთა და შემოქმედთა მიერ, ლიტერატურული, სამწერლო შემოქმედებისგან განსხვავებით ზეპირსიტყვიერება მიჩნეულია შეუზღუდავი თავისუფლებით ნასაზრდოებ შემოქმედებად. ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდებიან ფოლკლორისტიკის პატრიარქები, გერმანელი ძმები - იაკობ<sup>2</sup> და ვილჰელმ<sup>3</sup> გრიმები, რომლებმაც XIX საუკუნეში შეაგროვეს და გაომაქვეყნეს გერმანული ხალხური ზღაპრები. მათი მოღვაწეობის პროდუქტი ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი პირველი ნიმუში გახლდათ. სწორედ ეს ნიმუშები ინახავდა როგორც უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას, იმავდროულად ფოლკლორისტიკის მეცნიერულ საფუძვლებსაც ქმნიდა.

ამავე პერიოდში ინგლისელი და ფრანგი მკვლევარები სწავლობდნენ კელტურ, ბალკანურ და სკანდინავიურ ფოლკლორს. თანდათანობით მნიშვნელოვნად საგრძნობი ხდება ამ საქმიანობის არეალისა და სიღრმის ეტაპობრივი გაფართოება.

მაღევე, იმავე XIX საუკუნეში, ფოლკლორული ნიმუშების შესწავლით ინტერესდება უილიამ თომასი<sup>4</sup>, რომლის სახელსაც უკავშირდება პირველად ტერმინ - „ფოლკლორის“ გამოყენება.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები განახორციელა ფრანგული ფოლკლორის შესწავლის მიმართულებით ფრანგმა მეცნიერმა პოლ სებიიომ<sup>5</sup>, ხოლო რუსმა

<sup>2</sup> იაკობ ლუდვიგ კარლ გრიმი (1785 -1863) - გერმანელი ფილოლოგი, ფოლკლორისტი, ენათმეცნიერი და იურისტი, ცნობილი ზღაპრების ავტორი, თანამედროვე გერმანული ფილოლოგიის ფუძემდებელი.

<sup>3</sup> გერმანელი ფილოლოგი, ფოლკლორისტი, ენათმეცნიერი, ცნობილი ზღაპრების ავტორი დასაზოგადო მოღვაწე, ვილჰელმ კარლ გრიმი დაიბადა 1786 წლის 24 თებერვალს. მმასთან, იაკობთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის ფოლკლორის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. მნიშვნელოვანია ძმები გრიმების დამსახურება ენათმეცნიერებაშიც. ვილჰელმი შეისწავლიდა სხვადასხვა ხალხურ გადმოცემებს, სიუჟეტების განვითარებისა და მათი გავრცელების არეალს. აგროვებდა ზღაპრებს, ჰეროიკულ გერმანულ საგებს. მუშაობდა ძველი, დაზიანებული ხელნაწერების გაშიფვრასა და აღდგენაზე, დიდი წვლილი მიუძღვის შედარებითი ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეშიც. ძმებმა, 1812 წელს გამოსცეს „საბავშვო და საოჯახო ზღაპრები“, სამი წლის შემდეგ დაიბეჭდა მისი მეორე ტომიც. ამ წიგნებში შევიდა 200 ხელხური ზღაპარი და 10 „საბავშვო ლეგენდა“. მოგვიანებით გამოიცა მათი „გერმანული გადმოცემები“.

<sup>4</sup> უილიამ თომასმა პირველად 1846 წელს გამოიყენა ტერმინი - „ფოლკლორი“, როდესაც ინგლისურ ჟურნალ „ათენეუმის“ 22 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ფოლკლორე“.

<sup>5</sup> Поль Себийо (Paul Sébillot) 1843-1918 – французский фольклорист, этнограф, художник и писатель. Собирает и изучает народное творчество, считается одним из основоположников французской фольклористики. В 1880 году Себийо издал сборник народных бретонских сказок *Contes populaires de la Haute-Bretagne*, за которым последовали *Contes des paysans et des pêcheurs* („Сказки крестьян и рыбаков“, 1880) и *Contes des marins* („Сказки моряков“, 1882). Помимо сказок, Себийо собирал и другие

ფოლკლორისტმა და მოაზროვნემ ალექსანდრე აფანასიევმა<sup>6</sup> მოაგროვა და გამოსცა რუსული ხალხური ზღაპრები.

ძირითადად ამ პერიოდის მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჰყავდა მხედველობაში პროფ. ზ. კიკნაძეს, რომელიც შენიშნავდა, რომ „მათ თვალში სიძველე ხალხური პოეზიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი და პრიორიტეტული ნიშანია ანონიმურობასთან ერთად: ის, რაც ანონიმურია, მას წყაროდ ღვთიური შეგონება აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი იქმნება არა ახლა, თანამედროვეობაში, არამედ შეიქმნა უშორეს წარსულში, კაცობრიობის სიჭაბუკეში; წარსულშია სრულყოფილება, იქ არის სამოთხე, ედემის ბაღი, შეუბღალავი ბუნება. გერმანელ რომანტიკოს ფილოსოფოს იოჰან ჰერდერს<sup>7</sup> (1749-1803) ხიბლავდა ყველაფერი, რაც იწყებოდა პრეფიქსით Ur („წინარე“). ხალხურში იგი ხედავდა ყველაფერს მშვენიერს და გულწრფელს, ყველაფერს „ქალწულებრივს და ჭეშმარიტს“. ხალხური პოეზია ბუნების შვილია; რომანტიკოსები გარბოდნენ ბუნებისკენ და ეწაფებოდნენ ხალხურ პოეზიას, როგორც დავიწყებული და უსამართლოდ მიტოვებულ წყაროსთვალს. ფოლკის არსებობა წარსულშია ნაგულვები. ჰერდერის რწმენით, ხალხი (Volk) არის ბუნებრივი და შეურყვნილი ნაწილი ერისა, ამიტომაც იგი მოწოდებულია ეროვნული სულის გამოსახატავად. ხალხური პოეზია ისევე ბუნებრივად, რაიმე ძალდატანების გარეშე ამოიზრდება ხალხის წიაღიდან, როგორც, მაგალითისთვის, ასკილი, რომელიც, ვარდისგან განსხვავებით, არ საჭიროებს მოვლა-პატრონობას, ადამიანის ჩარევას. ხალხურ ლექსს ისინი უდარებენ ფრინველს, რომელიც თავისუფლებისთვის და არა გალიისთვის არის შობილი. ლიტერატურა ტყვეა, ხალხური შემოქმედება თავისუფალია, ყვავილივით თავისუფლად იფურჩქნება. იაკობ გრიმი ხალხურ სიმღერებს „ჩიტების სიმღერას“ ადარებს. ხალხური პოეზია არის ბუნების ხმა და, რაკი ბუნება ერთია, ამით აიხსნება ხალხური შემოქმედების პრინციპული ერთგვარობა

формы устного народного творчества; в числе прочего им были опубликованы *Traditions et superstitions de la Haute-Bretagne* („Традиции и поверья Верхней Бретани“, 1882), *Petites légendes chrétiennes de la Haute-Bretagne* („Христианские легенды Верхней Бретани“, 1885), *Devinettes de la Haute-Bretagne* („Загадки Верхней Бретани“, 1886), *Petite légende dorée de la Haute-Bretagne* („Малая Золотая легенда Верхней Бретани“, 1897), *Joyeuses histoires de la Bretagne* („Забавные истории Бретани“, 1910) и т. п. В 1885 году Себийо основал „Общество народных традиций“ (*Société des traditions populaires*), выпускавшее собственный журнал, *Revue des Traditions Populaires*, которым Себийо руководил вплоть до своей смерти и в котором регулярно публиковал собственные статьи. Главным трудом Поля Себийо стал четырёхтомный „Фольклор Франции“ (1904-1907). Это монументальное издание содержало сведения о разнообразных обычаях, верованиях, приметах и народном творчестве. По его инициативе и под его руководством в Париже в 1889 и 1900 годах прошли первые международные конгрессы фольклористов. В 1889 году он стал кавалером Ордена Почётного легиона. **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აფანასიევი** რუსი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, მწერალი (1826-1871). ჟურნალ „ბიბლიოგრაფიკესკიე ზაპისკის“ გამომცემელი (1859-1860). მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „1769-1774 წლების რუსული სატირული ჟურნალები“ (1859), კრებული „რუსული ხალხური ლეგენდები“ (1859), „სლავების პოეტური შეხედულებანი ბუნებაზე“ (ტ. 1-3, 1866-1869), რომელიც მითოლოგიის სკოლის პრინციპებზეა აგებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კრებულია „რუსული ხალხური ზღაპრები“ (ტ. 1-8, 1855-1864), სადაც ექვსასამდე ტექსტია თავმოყრილი.

<sup>7</sup> **იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803)** - გერმანელი ფილოსოფოსი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოეტი. საფუძველი ჩაუყარა ხელოვნებისა და კულტურის ისტორიულ გაგებას. დაამთავრა კენიგსბერგის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი. 1764 წელს გაემგზავრა რიგაში, სადაც სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად მუშაობდა. 1766 წელს, გოეთეს დახმარებით დამკვიდრდა ვაიმარში, სადაც კარის მოძღვრის თანამდებობა მიიღო. 1788 წელს იმოგზაურა იტალიაში. გარდაიცვალა ვაიმარში 1803 წლის 18 დეკემბერს.

ყველა ხალხში. იაკობის ძმა ვილჰელმ გრიმი (1787-1859) წერდა: პოეზიის ღვთიური სული ერთნაირია ყველა ხალხში და ერთი წყარო აქვს ყველგან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ყველგან ვაწყდებით მსგავსებას... იდუმალი ნათესაობა, რომლის საერთო საწყისი დაკარგულია, გვაფიქრებინებს მათ საერთო წარმომავლობაზე...“ (კიკნაძე, 2008: 334)

XX საუკუნე ფოლკლორის კვლევის კუთხით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია. ფართოვდება კვლევის მასშტაბები, რომელიც თანდათანობით მოიცავს ანთროპოლოგიური, ენობრივი და კულტურათმცოდნეობის შედარებითი ანალიზის სფეროებს.

ამავე პერიოდის პროდუქტია ამერიკელი ანთროპოლოგის ფრანც ბოასის<sup>8</sup> მიერ ინდიელთა ზეპირსიტყვიერი ტრადიციების და ფოლკლორის ანთროპოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბება. საგულისხმო გახლდათ ვლ. პროპის<sup>9</sup> მოღვაწეობა ფოლკლორისტიკის სტრუქტურული ანალიზის მეთოდის განვითარების თვალსაზრისითაც, რაც გულისხმობდა ხალხური ზღაპრების სიღრმისეულ, გამოწვლილვით შესწავლას.

<sup>8</sup> **ფრანც ბოასი** (1858 -1942) - ამერიკელი ლინგვისტი, ეთნოგრაფი, თანამედროვე ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი („ამერიკული ანთროპოლოგიის მამა“). საფუძველი ჩაუყარა ისტორიული ეთნოლოგიის სკოლას და განსაზღვრა ამერიკული ანთროპოლოგიური აზრის განვითარება XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ანთროპოლოგიის აკადემიურ დისციპლინად ჩამოყალიბებაში. ასოციაციებისა და ჟურნალების დაარსებაში. ერთწლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ, 1883 წლის ივნისში შეუერთდა გერმანულ ექსპედიციას არქტიკაში. მოხნად ისახავდა ინუიტების (ესკიმოსების) საზოგადოების შესწავლას, ერთი წელი გაატარა ბაფინის კუნძულზე კანადის არქტიკაში და სანაპიროს მთელ ხაზზე შეაგროვა ინუიტების ლეგენდები. შეისწავლა მათი რიტუალები და ცერემონიები. დაბრუნების შემდეგ ის ბრიტანეთის კოლუმბიის სამხ. ნაწილში მუშაობდა ჟურნალისათვის „კანადის გეოლოგიური მიმოხილვა“. იქ ჩაატარა გამოკვლევა კუნძულ ვანკუვერის მოსახლეობაში. 1887 წელს ნიუ-იორკში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო რედაქტორის ასისტენტის თანამდებობაზე ჟურნალში „მეცნიერება“ (Science). 1888 წელს მეცნიერების განვითარების ბრიტანულმა ასოციაციამ (British Association for Advancement of Science) თხოვნით მიმართა ბოასს, შეეგროვებინა ეთნოგრაფიული მასალა ჩრ.-დას. სანაპიროდან. ბოასმა შეისწავლა ადგილობრივი ენები, შეაგროვა ანთროპომეტრული მონაცემები და შეისწავლა სოციალური ორგანიზაციის ფორმები კვაკიუტლისა და ციმშიანის ტომებში. 1889 წელს ბოასი კლარკის უნივერსიტეტის მასწავლებელია. 1896 წელს ასწავლის კოლუმბიის კოლეჯში ფიზიკურ ანთროპოლოგიას. 1900 წელს არჩეულ იქნა მეცნიერებათა ნაციონალურ აკადემიაში. განაახლა ჟურნალი „ამერიკული ანთროპოლოგი“ (American Anthropologist). 1917 დააარსა „ამერიკული ლინგვისტიკის საერთაშორისო ჟურნალი“, ხელი შეუწყო არქეოლოგიური სკოლის დაარსებას მეხიკოში. სისტემატურად აქვეყნებდა ნაშრომებს. ბოასს ეკუთვნის 6 წიგნი და 700-ზე მეტი სტატია.

<sup>9</sup> **ვლადიმერ იაკობის ძე პროპი** - (1895-1970) საბჭოთა ფოლკლორისტიკული სკოლის ერთ-ერთი უთვალსაზრისო წარმომადგენელი. ფილოლოგიური განათლება მიიღო პეტროგრადის უნივერსიტეტში, რომელიც 1918 წელს დაასრულა, მისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობაც მთლიანად ლენინგრადის უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული. პროპი ფოლკლორისტიკაში ყველაზე მეტად ორი წიგნით, „ზღაპრის მორფოლოგიით“ (1928) და „ჯადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვებით“ (1946) გახდა ცნობილი. „ზღაპრის მორფოლოგია“ მანამდე შეიქმნა, ვიდრე ფილოლოგიურ მეცნიერებებში სტრუქტურული ანალიზის მეთოდები დაინერგებოდა. XX საუკუნის 20-იან წლებში მხატვრული ფორმების, მათ შორის ფოლკლორული ფორმების, შესწავლის დიდი ინტერესი არსებობდა, მაგრამ მხოლოდ პროპმა მიიყვანა ზღაპრის ფორმის შესწავლა მისი სტრუქტურის აღმოჩენამდე. ვ. პროპმა დაამტკიცა, რომ ხალხური ზღაპრის ფორმათა განხილვა და აღწერის კანონზომიერების დადგენა ისეთივე სიზუსტით იყო შესაძლებელი, როგორც ორგანულ წარმონაქმნთა მორფოლოგია – მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთმიმართება. მან ფოლკლორის მაგალითზე აჩვენა, რომ ჯადოსნურ ზღაპარს მტკიცედ განსაზღვრული სტრუქტურა აქვს.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, მსოფლიოს ნებისმიერ კულტურაში ზეპირსიტყვიერება სპეციფიური, თავისებური და თვითმყოფადია. თუკი ევროპის ქვეყნების ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მითოსს, ზღაპარს, სკანდინავიური ტექსტები გამოირჩევა ვიკინგთა თავგადასავლებით, ხოლო კულტურ კულტურაში სჭარბობს ლეგენდები, რომლებიც სავსეა ჯადოსნური არსებებით. აზიურ კულტურებში ფოლკლორი მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიასთან. ინდური მითოლოგია გამორჩეულია მრავალღმერთიანი პანთეონით, ხოლო ჩინური ლეგენდები უფრო სიბრძნისმეტყველებას და ფილოსოფიურ სიღრმეთა მიეხება ანიჭებს უპირატესობას. გამორჩეული და თვითმყოფადია ამერიკის კონტინენტის ზეპირსიტყვიერება, რომელიც მნიშვნელოვნად საზრდოობს ერთის მხრივ, ადგილობრივი ინდიელი ხალხების ლეგენდების სამყაროთი, ხოლო, მეორეს მხრივ, ევროპელ კოლონიზატორთა შერეული კულტურული ნიშნებით. ასეთივე გამორჩეულია აფრიკული ფოლკლორიც, რომელიც სავსეა ათასგვარი რწმენა-წარმოდგენებით, მაგიური არსებებითა და წინაპრების კულტით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზეპირსიტყვიერ და ცეკვით, სიმღერით გადმოცემულ ტრადიციებს. ბუნებრივია, ზემოჩამოთვლილი თავისებურებანი მხოლოდ დასახელებულ გეოგრაფიულ უბნებზე არ არის ლოკალიზებული და მათი მოძებნა რთული არ არის ნებისმიერი ხალხის ან ნებისმიერი კულტურის ფოლკლორული მემკვიდრეობებისთვის, ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული აქცენტების გამო გავაკეთეთ ეს მინიშნებები.

ასეა თუ ისე, მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებული თავისებურებებისა და ფოლკლორულ ტექსტთა უაღრესად მრავალფეროვანი პალიტრისა, ეს მასალა რომელი კულტურის კუთვნილებასაც არ უნდა წარმოადგენდეს, იგი ყოველთვის, მეტნაკლებად ერთგვარი ჟანრული ფორმებით გახლავთ წარმოდგენილი. ეს ფორმები შეიძლება იყოს:

- **ზღაპარი** - მაგიური, სასწაულებრივი ელემენტით გაჯერებული ამბები, რომლებიც ხშირად მორალის ან ცხოვრებაზე დაკვირვებით მიღებული გაკვეთილების ელემენტის შემცველია. მაგალითად, ძმები გრიმების ზღაპრები, „ათას ერთი ღამის“ არაბული ზღაპრების სამყარო, ნებისმიერ ხალხთა ხალხური ზღაპრები და ა. შ.

- **თქმულებები, მითები და ლეგენდები** - ამბები ღმერთებისა და გმირების შესახებ. მაგ. ბერძნული, სკანდინავიური, ინდური და სხვა მითოლოგიები, ღვთაებათა გამაერთიანებლები, რომლებიც მართავენ ადამიანთა ცხოვრებას.

- **ეპოსი** - პოეტური თხზულებები გმირულ ისტორიებზე, როგორებიცაა: „ილიადა“ და „ოდისეა“<sup>10</sup> (ბერძნული), „რიგვედა“ (ინდური), „ბეოვულფი“ (ანგლოსაქსური) და ა.შ.

<sup>10</sup> ჩვენ მიერ, აღნიშნული ტექსტების ამ კონტექსტში დასახელების მიზეზს წარმოადგენს ის აზრთა განსხვავებულობა, რომელიც დღემდე არსებობს მკვლევართა ფართო წრეებს შორის. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ირგვლივ არაერთხელ დასმულა კითხვის ნიშანი. არაერთხელ გამხდარა დავის საგანი - იყო თუ არა ჰომეროსი „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორი. მოსაზრებები ხშირად განსხვავებულია. მკვლევართა ნაწილს ეჭვი არ ეპარება ჰომეროსის ავტორობაში, არიან ისეთებიც, ვინც ამ თხზულებებს დამოუკიდებლად შექმნილ სიმღერებად მიიჩნევენ. რუსი მეცნიერი პროფ. ალ. ლოსევი მიიჩნევდა, რომ პოემები ჰომეროსს ეკუთვნოდა. გერმანელი მკვლევარი აუგუსტ ვოლი ავითარებდა თეორიას, რომლის მიხედვითაც რთული იყო მტკიცება ხსენებული პოემების ერთი კონკრეტული ავტორისთვის მიწერის შესახებ. სხვადასხვა სიმღერების საფუძველზე შექმნილ ტექსტებად მიიჩნევენ ამ თხზულებებს გოტფრიდ ჰერმანიც, ხოლო გერმანელი კარლ ლახმანის აზრით, „ილიადა“ რამდენიმე მცირე ზომის სასიმღერო ტექსტის შედეგად მიღებულ პროდუქტს წარმოადგენს და სხვ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნებოდა ქართველ მეცნიერთა შორისაც. 1928 წელს კონსტანტინე ჭიჭინაძე წერდა: „კამათი ჰომეროსის პოემათა ტექსტების გარშემო გაიხსნა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. იმდროინდელი ზოგიერთი გრამატიკოსები ფიქრობდნენ, რომ ილიადასა და ოდისეაში შიგა და შიგ

• **საერო და რელიგიური** ხასიათის ხალხური ტექსტები, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ხასიათის რიტუალური და ყოველდღიური ყოფითი თემების ირგვლივ.

ცხადია, ფოკლორულ ტექსტთა ჟანრობრივი მრავალფეროვნება შესაძლოა გასცდეს ზემოთ მოტანილ ჩამონათვალს, თუმცა ეს ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ჟანრული ფორმები გახლავთ.

დავუბრუნდეთ საქართველოს. ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ვითარებაა XX საუკუნის საქართველოში. ეს სწორედ ის პერიოდი გახლავთ, როდესაც ზეპირსიტყვიერების მასალათა შესწავლამ განსაკუთრებული მასშტაბები

ჩართული, ან უნებლიეთ დამახინჯებული სტრიქონები უნდა ყოფილიყო. მაშინ მხოლოდ ცალკე სტრიქონების სიყალბეზე იყო ლაპარაკი. კვლევა-ძიება ამ საკითხის გარშემო განსაკუთრებით გაღრმავდა და გაფართოვდა ქალაქ ალექსანდრაში, რომელიც განსაზღვრულ პერიოდში მთელი ძველი საბერძნეთის მეცნიერებისა დასაერთოდ კულტურის ცენტრად იყო გადაქცეული. აქ პირველად დაიწყო ჰომეროსის პოემების გულმოდგინე „გაწმენდა“ საეჭვო ადგილებისაგან (ამ მხრით განსაკუთრებით ცნობილია ზენოდოდე ალექსანდრიელი). ამავე ეპოქაში პირველად გამოითქვა ის აზრი, ვითომც ილიადა და ოდისეა სხვა და სხვა ავტორის ნაწარმოები ყოფილიყო (ჰელლანიკი). მაგრამ ჰომეროსის პოემათა ტექსტებს ჰყავდათ თავიანთი დამცველებიც. მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ალექსანდრიის სახელგანთქმული წიგნთსაცავის გამგე არისტოფანი, რომელმაც ზოგიერთი ყალბად მიჩნეული და პოემიდან თითქმის უკვე განდევნილი ადგილები ბრწყინვალედ დაიცვა და დაუბრუნა ისევ ტექსტს; მხოლოდ მან, თავის მხრით, ყალბად მიიჩნია ოდისეას დაბოლოება. ჰომეროსის მკვლევართა შორის ალექსანდრიული ეპოქიდან უნდა იქნეს აქ დასახელებული კიდევ ერთი დიდი ფილოლოგი - არისტარხი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა შემდეგი დროის მკვლევარზე. სხვათა შორის, მან გაილაშქრა იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს ოდისეა სხვა ავტორის მიერ ყოფილიყო შექმნილი. ჩვენთვის მეტად საინტერესოა, თუ რა არგუმენტაციას მიმართა არისტარხმა ამ საკითხში. მან შეადარა ილიადა და ოდისეა ერთმანეთს და პირველ პოემაში აღმოაჩინა ისეთი ნიშნები, რომლებიც წინასწარ გულისხმობდნენ მეორე პოემის შექმნას. ასეთი მდგომარეობა ერთავტორიანობის დასამტკიცებლად მეტად ობიექტურია და, მაშასადამე, სავსებით მისაღები, მხოლოდ საქმე იმაშია, თუ რამდენად რეალურია და არა მოჩვენებითი მკვლევარის მიერ აღმოჩენილი ზემოხსენებული ნიშნები ილიადაში... მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, სახელდობრ 1795 წელს, გერმანელმა გამოჩენილმა ფილოლოგმა ვოლფმა გამოაქვეყნა ჰომეროსის შსახებ ლათინურ ენაზე წიგნი „Prolegomena ad Homerum.“ ვოლფის გამოკვლევამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა არა მარტო ჰომეროსის საკითხში, არამედ მთელ ფილოლოგიაში მან დეტალურად განიხილა ილიადა და მის სხვა ნაწილებს შორის იმდენი წინააღმდეგობანი აღმოაჩინა, რომ შეუძლებლად აღაირა მისი შექმნა ერთი ავტორის მიერ. მისი აზრით ილიადა უდნა ყოფილიყო შეთხზული არა ერთი პოეტის, არამედ რამდენიმესგან (ჰომერიდები). აღმოჩენილ წინააღმდეგობათა გარდა, ვოლფის მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა ის მოსაზრება, ვითომც ჰომეროსის დროს დამწერლობა საბერძნეთში ჯერ კიდევ შემოღებული არ უნდა ყოფილიყო, ხოლო ზეპირად შეთხზვა და დახსომება ერთი პირის მიერ ისეთი დიდი პოემების, როგორც ილიადა და ოდისეა არის, შეუძლებელი იყო... ჰომეროსის პოემათა ერთავტორიანობის იდეას (უნიტარული თეორია) ენერგიული დამცველები გამოუჩნდნენ ინგლისში (მიური, გლადსტონი და სხ.) თუმცა ვოლფის ატომისტურმა თეორიამ იქაც დიდი გავლენა მოახდინა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჰომეროსის მკვლევარები ორ დიდ ბანკად იყოფიან: ერთნი არღვევენ, შლიან და აქუცმაცებენ მისი პოემების ტექსტებს, მეორენი სასტიკი თავგამოდებით იცავენ ამ ტექსტების მთლიანობას.“ (იხ. ჭიჭინაძე, 1928: 7).

თვითონ კ. ჭიჭინაძე, ისევე, როგორც პროფ. გრ. წერეთელი მხარს უჭერდნენ აზრს იმის შესახებ, რომ ჰომეროსი იყო რეალური ისტორიული პიროვნება და „ილიადას“ ერთადერთი ავტორი, ხოლო ტექსტებში არსებული, ხსენებული, წინააღმდეგობებს ხსნიდნენ მოსაზრებით, რომ ავტორი თანდათანობით აფართოვებდა საკუთარ თხზულებებს.

ასეა თუ ისე, აღნიშნულ საკითხზე მკვლევართა ერთიანი პოზიცია დღემდე არ არსებობს, სამეცნიერო დისკუსია და დავა მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით კვლავაც გრძელდება.

შეიძინა. აღნიშნული საკითხი ეროვნული კულტურის განსაკუთრებულ უბნად გამოცხადდა და მასზე ზრუნვის სადავეები სახელმწიფომ აიღო ხელში. ბუნებრივია, საბჭოთა საქართველოს სივრცეში, მას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვის როლიც დაეკისრებოდა.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მიხედვით, როგორც ცნობილია, საბჭოური იდეოლოგია „ამბოხებული მასების“ (ხოსე ორგეტა ი გასეტი) ფილოსოფიას დაემყარა. მასა, უპიროვნო სოციალური მოცემულობა, როგორც ხალხის აბსტრაქტული ცნების გამოხატულება, ინტელექტურალური შემოქმედების სფეროშიც დაუპირისპირდა განსწავლასა და პიროვნულ ნიჭიერებას დაეფუძნებულ ინდივიდუალობას. ინდივიდუალურ ხელოვანს და ხელოვნების მასის (კოლექტივის) სინთეზური შემოქმედებითი ნიჭიერების დოქტრინა დაუპირისპირდა, რათა ინდივიდუალურ ხელოვანს ჩამორთმეოდა ხელოვნებით, ნიჭით, ნაღვაწით დაფნის გვირგვინის მოპოვების, ამით გამორჩეულობის შესაძლებლობა (რაც ანგარიშგასაწევ ძალად აქცევდა) და უპიროვნო მასის ნაწილად ექცია, რათა მისი ქმნადობის დაყოფს დაჰკარგოდა ინდივიდუალობის ტვიფარი და მასში ჩაკარგვით ადვილი სამართავი გამხდარიყო. თუმცა, ეს მიზანი მოხერხებულად იყო შეფუთული ხალხზე ზრუნვის და უმაღლეს ღირებულებათად ხალხის ინტერესების დაცვის საბჭოური დემოკრატიის ლოზუნგებით“. (ჯაგოდნიშვილი, 2019: 7)

ამ, ე. წ. კოლექტიური ლიტერატურული შემოქმედების დამკვიდრების მცდელობათა გზაზე უამრავმა, სხვადასხვა ხასიათის, ტექსტმა იხილა მზის სინათლე.

უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოსთვის დამახასიათებელი გახლდათ კიდევ ერთი საგულისხმო ტენდენცია. ე.წ. ახალი, საბჭოთა ფოკლორის შექმნის სურვილი და მცდელობა. ეს ტენდენცია გულისხმობდა მთქმელთა წახალისების გზით ისეთი შინაარსის პროდუქტის მიღებას, როგორც გახლდათ: ბედნიერი საბჭოთა ცხოვრება, ბოლშევიკ ლიდერთა გამორჩეულობა და ზე შესაძლებლობები, კოლექტივიზაციის განსაკუთრებულობა და სხვა.

აქტიურად მიმდინარეობდა ქართული საბჭოთა ფოკლორის კვლევითი საქმიანობაც. გამოიცემოდა ნაშრომები ამ მიმართულებით. პარალელურად, გააქტიურდა ფოკლორული მასალის მოძიებისა და შესწავლის პროცესიც. ეწყობოდა ფოკლორული ექსპედიციები, დაფუძნდა ფოკლორის განყოფილება საქართველოს მუზეუმში, შოტა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ფოკლორისტიკის კათედრა, გამოიცა შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ჟურნალები, კრებულები და ა.შ.

ზემოაღნიშნული სახელმწიფო კურსი ღირეპტიული ხასიათისა გახლდათ და შესასრულებლად სავალდებულო იყო შესაბამისი დარგის ყველა მწერლისა და ლიტერატორისთვის. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა ამ პერიოდის მოღვაწე, შემოქმედი თუ ლიტერატორი აქტიურად გახლდათ ჩართული აღნიშნულ პროცესებში. ცხადია, ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი მნიშვნელოვანი ფოკლორული მასალის გამოვლენასა და გამოქვეყნებას.

„ცნობილია, რომ მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე ქართველი მწერლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აღიარებულმა, ავტორიტეტმა პავლე ინგოროყვამ ცალსახად განაცხადა: საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე მრავალი გადასაჭრელი საკითხი დგას, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოგვარებას. ასეთია, მაგალითად, ქართული ზეპირი სიტყვიერების შეგროვება. ახალი ყოფის განმტკიცებასთან ერთად ზეპირი სიტყვიერების ნაშტებიდავიწყებას ეძლევა. არაა აქ საჭირო სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ქართული ზეპირსიტყვიერების გამოქვეყნება განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს არა მარტო მეცნიერებისთვის, არამედ, პირველ რიგში მხატვრული მწერლობისთვის. ამ მხრივ მწერალთა კავშირს უნდა მიეცეს საშუალება ამ დიდი საქმის შესასრულებლად...“ პ. ინგოროყვას სიტყვის სიტყვის ციტირებული ფრაგმენტი

სრულიად ცხადად გამოკვეთს ფოლკლორისადმი ინტერესის ორ მთავარ ორიენტირს: მნიშვნელობას მეცნიერებისთვის და არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) - მწერლობისთვის (მხატვრული ლიტერატურისთვის). ეს იყო არა უბრალოდ გამოტქმული მოსაზრება, - სურვილი, არამედ, იმ მინიშნების შემცველი დირექტივა, რომელიც კოლექტიური (ხალხური) მხატვრული ცნობიერების პრიმატს აღიარებდა ინდივიდუალურ მხატვრულ ნიჭთან მიმართებაში და რომელიც შეფუთული იყო ფოკლორის ეროვნული მწერლობის მკვებავ წყაროდ აღიარების თეზაში.“ (ჯაგოდნიშვილი, 2019: 14)

ამგვარი აქტიურობა სულაც არ აღმოჩნდება ხელის შემშლელი საბჭოთა იდეოლოგიური მანქანისთვის, რათა „რეაქციონერისა“ და „მოვინისტი მწერლის“ იარლიყით გაეძევიანათ პავლე ინგოროყვა მწერალთა კავშირიდან 1931 წელს. არც იმ პერიოდის ცნობილი კრიტიკოსი, პედაგოგი და ფოლკლორისტი მიხეილ აბრამიშვილი დაინდო ვინმემ<sup>11</sup>, ამავე იდეოლოგიურ მანქანას ემსხვერპლა ცნობილი ლიტერატურატომცოდნე, კრიტიკოსი, ფოკლორისტი და ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი და მრავალი სხვა.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა XIX საუკუნის საქართველოში.

საზოგადოდ, ქართული ფოლკლორი უძველესი დროიდან ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანი გახლავთ. ის ყოველთვის ასახავდა ერის მსოფლმხედველობას, ტრადიციებს, ყოველდღიურ ყოფას, რელიგიურ და ზნეობრივ ღირებულებებს. ეს შემოქმედება საუკუნეების განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი სახით, ადამიანის მეხსიერების წყალობით, რაც იმავდროულად განაპირობებდა მის მდიდარ და მრავალფეროვან ვარიანტულობას.

პრეისტორიული პერიოდიდან მოყოლებული, ხალხური მითოლოგია, თქმულებები და ლეგენდები, სიმღერები და ხალხური რიტუალები წარმოადგენდა ცხოვრების ყოველდღიურ ელემენტებს. ეს ფორმები თანდათანობით ვითარდება და ყალიბდება დამოუკიდებელ სტრუქტურირებულ ჟანრულ ფორმებად, რომლებიც დღემდე არსებობს. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების განვითარების პროცესი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განიცდიდა გარკვეულ თავისებურებათა გავლენებს. მაგალითად, თუ ანტიკურ ხანაში ის დაკავშირებული იყო მითოლოგიასა და კოსმოგენულ წარმოდგენებთან, უკვე შუა საუკუნეებში გადაიქცა მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლად ერის ყოველდღიური ცხოვრებისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში.

XIX საუკუნე სწორედ იმ რუბიკონად იქცა, საიდანაც იწყება ქართული ფოკლორის კვლევა. ევროპის უძველესი ქვეყნების მსგავსად ამ პერიოდში საქართველოში ჩნდება ინტერესი ხალხური შემოქმედების მიმართ.

აქ გვაქვს ერთი სფეციფიური თავისებურება.

დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ხალხური ზეპირსიტყვიერებით დაინტერესება ჩვენში, არაფრით უკავშირდება რომანტიზმს და ქართველ რომანტიკოსთა სახელებს. არცერთი მათგანის შემოქმედებაში არ იძებნება კვალი, რაც მიანიშნებდა ქართველ რომანტიკოსთა ქართულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემკრებლობით საქმიანობაზე, ამ სფეროსთან დაკავშირებაზე, ან ინტერესზე მაინც აღნიშნულ საქმიანობისადმი. ქართულ ფოლკლორს არავითარი საბადო არ მიუცია XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა შემოქმედებისთვის. ქართულმა ფოკლორმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ქართულ რომანტიზმზე, შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელმა გვერდი აუარა და უარი განაცხადა მასზე.

<sup>11</sup> მ. აბრამიშვილი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, როგორც „მექანიკურად ჩარიცხული“ წევრი.

„ქართული ფოკლორისტიკის სათავეებთან დგანან არა რომანტიკოსები, არც პოეტები და მწერლები, როგორც დასავლეთში, არამედ ისეთი ერუდიტები (ფილოსოფოსები, მეისტორიე, ღვთისმეტყველი, ეთნოგრაფი“), როგორებიც იყვნენ პლატონ იოსელიანი (1809-1875), მრავალმხრივი ინტერესების მეცნიერი, რუსეთის აკადემიის წევრი თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846), მწერალი თუ პუბლიცისტი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1802-1869). მათი რიცხვი, ვინც საგანგებოდ ინტერესდებოდა ხალხური შემოქმედებით, ძალზე შეზღუდულია. არც მათი ფოლკლორული მემკვიდრეობაა უხვი. თეიმურაზ ბაგრატიონის არქივში დაცულია „იმერული ზღაპარი“ და „საერო ლექსები“ („საერო“ აქ, როგორც ჩანს, ხალხურს ნიშნავს). ეს არის და ეს. პლატონ იოსელიანს დარჩა ხელნაწერებად „გამოცანები ქართულნი“ და „ანდაზები და გამოცანები“. რაც შეეხება ალექსანდრე ორბელიანს, მას ეკუთვნის პირველი ცდა ხალხური ლექს-სიმღერების ჟანრული კლასიფიკაციისა, რასაც საგანგებო ნარკვევი მიეძღვნა სათაურით „ივერიანელების გალობა, სიმღერა, ლილინი.“ ( კიკნაძე, 2008: 337)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად მზარდია ინტერესი როგორც ფოლკლორული მემკვიდრეობის შესწავლისადმი, ასევე შემგროვებლობითი საქმიანობისადმიც. იწყება მოპოვებული მასალის პუბლიკაცია იმ პერიოდის პერიოდულ გამოცემებში. ბუნებრივია, რომ ამ საქმიანობის ავანგარდში მოექცეოდნენ იმ პერიოდის ისეთი ცენტრალური გამოცემები, როგორებიც გახლდათ „ივერია“<sup>12</sup>, „ცისკარი“<sup>13</sup>, „მწყემსი“<sup>14</sup> და მრ სხვა. შეიძლება ითქვას, რომ, ხსენებულ პერიოდში, არ დარჩენილა რაიმე ტიპის პერიოდული გამოცემა, რომ ფოლკლორული ნიმუშების გამოქვეყნება-პოპულარიზაციაში საკუთარი წვლილი არ შეეტანოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ითამაშა „აკაკის თვიურმა კრებულმა.“<sup>15</sup> აკაკი წერეთლის მიერ 1897 წელს დაარსებულმა ამ პერიოდულმა გამოცემამ, რომელმაც 1900 წლამდე იარსება და რამდენიმე ათეული ნომრის გამოცემა მოესწრო, საგანგებოდ გამოყოფილი რუბრიკის წყალობით არა ერთი ათეული ზეპირსიტყვიერების ნიმუში გამოავლინა და მიაწოდა საზოგადოებას. მის მიერ გამოქვეყნებულმა, მრავალგვარი ჟანრის, უხვმა ფოლკლორულმა მასალამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ზეპირსიტყვიერების განვითარებაში. ამ მასალათა შორის მოიპოვება მდიდარი და შეიძლება ითქვას, უნიკალური მასალა, რომლებსაც დღეს კიდევ

<sup>12</sup> „ივერია“ - ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1877 წლიდან. თავიდან ის იყო ყოველკვირეული გაზეთი, შემდეგ ჟურნალი, ალმანახი, ხოლო 1886 წლიდან გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანების პერიოდში ილია ჭავჭავაძის თანარედაქტორი გახლდათ სერგი მესხი.

<sup>13</sup> „ცისკარი“ - ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა 1852-1853 წლებში, როგორც "ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი" და 1857-1875 წლებში, როგორც "ქართული სალიტერატურო ჟურნალი". 1852-1853 წლებში "ცისკარს" ხელმძღვანელობდა გიორგი ერისთავი, ხოლო 1857-1875 წლებში კი ივანე კერესელიძე. „ცისკარში“ იბეჭდებოდა სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა თხზულებები, თარგმანები: პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონის, ბერანჟესი, ჰიუგოსი, დიკენსისა და მრავალ სხვა რუს და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებისა; საისტორიო, სალიტერატურო, პუბლიცისტური და სხვა სტატიები.

<sup>14</sup> „მწყემსი“ - სასულიერო ორკვირეული ჟურნალი, გამოდიოდა 1883-1910 წლებში. იბეჭდებოდა სასულიერო, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხები. რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. ღამბაშიძე.

<sup>15</sup> „აკაკის თვიური კრებული“ - ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი, გამოდიოდა 1897-1900 წლებში ქუთაისსა და თბილისში. რედაქტორ-გამომცემელი აკაკი წერეთელი.

უფრო მეტი მნიშვნელობა და ღირებულება გააჩნია. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ალექსანდრე მაჩაბელი და მისი ღვაწლი ფოკლორულ საქმიანობაში. ამ ადამიანმა თავის მშობლიურ ლიახვის ხეობაში მოკრიბა და გამოაქვეყნა ზეპირსიტყვიერების ათეული ნიმუში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხინვალის რეგიონში, ჩვენს დროში, განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაიცალა და გავერანდა ხეობები და სოფლები, ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად დევნილად იქცა ათასობით ქართველი, დღემდე მიზანმიმართულად და საგულდაგულოდ ნადგურდება ყოველგვარი ქართული კვალი აღნიშნულ ტერიტორიაზე, განადგურდა საცავები, მუზეუმები, არქივები და ბიბლიოთეკები და მითან ერთად ის უნიკალური მასალაც, რომლებიც ამ რეგიონის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ალექსანდრე მაჩაბლის ღვაწლი კიდევ უფრო მეტ დატვირთვას და მნიშვნელობას იძენს. XIX საუკუნეში ლიახვის ხეობაში მოძიებული და ჩაწერილი ეს ფოკლორული მასალა (თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა წყაროებში აქა-იქ გაბნეულ ერთეულ შემთხვევებს) ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც გადაურჩა დროის მსახვრალ ხელს და უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძინა ლიახვის ხეობის ფოლკლორული ტრადიციების შესწავლის მიმართულებით.

ალექსანდრე მაჩაბლის ღვაწლზე მიუთითებდა პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი. „სოფელ ქურთას ზეპირსიტყვიერება და ეთნოგრაფიული აღწერა-დახასიათება გამოაქვეყნა ალექსანდრე მაჩაბელმა. ეთნოგრაფიულ აღწერილობაში შეტანილია ცნობები კალენდარულ-საწესჩვევო პოეზიის, ცალკეული ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების წარმომავლობისა თუ მთქმელების შესახებ. დაფიქსირებულია ერთი საინტერესო მოვლენაც: წარმოდგენილია კონკრეტული მთქმელები და მათი რეპერტუარი (მაგალითად, მ. ჟიჟიაშვილისა). ეს ერთ-ერთი ადრეული ცდაა ქართულ ფოკლორისტიკაში. მ. ჟიჟიაშვილის რეპერტუარი საინტერესო და მრავალფეროვან მასალას შეიცავს. აქა ხალხური ლექსები, თქმულება ამირანზე, „ქვაცხის თებრუ ივანეზე“, ბალადა „შემომეყარა ყივჩაღი“, საფერხულო სიმღერა „ჩემო ყურშაო“. სულ 39 ზეპირსიტყვიერი ტექსტია. ამის გარდა, ა. მაჩაბელმა გამოაქვეყნა ხალხური გადმოცემა „სესიკი ყაულაშვილი“, „ყბათეთრი მეტრეველი“, „თქმულება თამარ დედოფალზე“ („აკაკის კრებული“, 1898, #9) და სხვა.“ (ჯაგოდნიშვილი, 2004: 399.)

ზოგადად, აკაკი საკუთარ ჟურნალში უპირატესობას ანიჭებდა ფოლკლორული მასალის ჩაწერის ისეთ სტილს, როდესაც ჩამწერი იმავე კუთხის შვილი იყო, სადაც მასალას მოიპოვებდა. ეს, ცხადია, გულისმობდა, რომ მთქმელთა ყოფითი სამყარო, ტრადიციები მახლობელი და მშობლიური იქნებოდა ჩამწერისთვისაც, მასალის მომგროვებლის მუშაობა მშობლიურ ლოკაციურ სივრცეში გამორიცხავდა ყოველგვარი წვრილმანის დაკარგვასაც კი მთქმელის მიერ, ვინაიდან მთქმელის აზროვნების მანერა, გარემო და ტრადიციები მისთვისაც მახლობელი და ნაცნობი იქნებოდა. სწორედ ამიტომ ზემოხსენებული მასალა, რომელიც ალექსანდრე მაჩაბლის წყალობით შემოგვრდა, ზედმიწევნით ასახავს იმ პერიოდის ლიახვის ხეობის მცხოვრებთა აზროვნების მანერასაც, ყოველდღიურ ყოფით გარემოსაც და მის ზეპირსიტყვიერების ტრადიციათა თავისებურებებსაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და მნიშვნელოვანს ხდის ამ ტექსტებს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ სწორედ ალექსანდრე მაჩაბლის მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მასალის შესახებ გვექნება მსჯელობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ, ბუნებრივია, ფოლკლორულ-შემგროვებლობითი საქმიანობა XIX საუკუნეში მხოლოდ ზემოაღნიშნულით არ შემოიფარგლებოდა. უკვე საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა ხალხური პოეზიის კრებული (ხიზანიშვილი, 1889), იყო პ. უმიკაშვილის მიერ ზეპირსიტყვიერების ცალკეული ნიმუშების გამოქვეყნების მცდელობები, ახალი საუკუნის დამდეგს ვასილ ბარნოვის ნოვაციური მცდელობა ხალხური სიტყვიერების კურსის შექმნის მიმართულებით (ბარნოვი, 1964), ხოლო

მოგვიანებით, ვ. კოტეტიშვილის მიერ ქართული ფოლკლორის შესწავლის ახალი, განსხვავებული, მაღალი თამასის განსაზღვრა (კოტეტიშვილი, 1934), მიხ. ჩიქოვანის „ქართული ფოლკლორის“ გამოცემა (ჩიქოვანი, 1946) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს პეტრე უმიკაშვილის ღვაწლის შესახებ. ადამიანის, რომელმაც მთელი ცხოვრება შეაღია ქართული ფოლკლორული ნიმუშების მოგროვებას. სამწუხაროდ, მის მიერ მოგროვებული ზეპირსიტყვიერების ნიმუთა უზარმაზარი კოლექცია შემგროვებლის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი დარჩა და მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მისი მეგობრის, ფილიპე გოგიჩაშვილის წყალობით გახდა შესაძლებელი. (უმიკაშვილი, 1937)

ეს კრებული 1937 წელს გამოიცა. ფ. გოგიჩაშვილი თავის წინასიტყვაობაში წერდა: „პეტრე უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შეკრების პიონერი იყო ჩვენში. მას ეს საქმე დაუწყია ახალგაზრდობაშივე (20-21 წლისას). მაშასადამე, იგი ამ მასალას აგროვებდა 40-45 წლის განმავლობაში. ბევრი თვითონ მის მიერ არის ჩაწერილი, ბევრი კიდეც თავისი მოწაფეებისა და ნამოწაფრების და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით შეუკრებია. არის აგრეთვე ნაწილი, რომელიც მას „დროება-ივერის“ რედაქციებიდან მიუღია, როდესაც გაზეთებს მათ მიერ მიღებული მასალა უადგილობის გამო თუ სხვა მიზეზებით, ვერ დაუბეჭდავთ. ზოგიც ჩამწერელთ მისგან დამოუკიდებლად ჩაუწერიათ და შემდეგ, მისი თხოვნით, მისთვის გადაუციათ და სხვა. ასე წარმოსდგა პ. უმიკაშვილის ხელში მოგროვილი ფონდი ხალხური სიტყვიერებისა. ზოგი რამ აქედან მის სიცოცხლეშივე იბეჭდებოდა დროგამოშვებით სხვადასხვა გამოცემებში, - უფრო ხშირად მისი სახელის აღუნიშნავად... პ. უმიკაშვილი უღვაწლო და უმონაწილო არ არის იმაშიც, რომ სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ვინაიდან იგი ამ საქმის საჭიროების ერთ-ერთი ფანატური მქადაგებელი იყო. არც იმაში, რომ თავის დროს „წერა-კითხვის საზოგადოება“ დაიწყო ასეთი მასალის შეგროვება.“ (უმიკაშვილი, 1937: XLIX)

**დასკვნა.** ამგვარად, ქართული ფოლკლორის კვლევის დასაწყისი დაკავშირებულია XIX საუკუნესთან. პირველ ფოლკლორისტებში და მკვლევარებში გაჩენილი მძლავრი ინტერესი ხალხური შემოქმედების მიმართ გაგრძელდა შემდეგ ასწლეულშიც. გროვდებოდა და ქვეყნდებოდა ხალხური გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები და ა.შ. ქართველ მეცნიერთა არაერთმა გამორჩეულმა წარმომადგენელმა პირველხარისხოვანი კვლევები უძღვნეს ქართული ფოლკლორის გამოწვლილვით შესწავლის საქმეს. ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მათი ანალიზი, შედარებითი კვლევები.

ქართული ფოლკლორული მემკვიდრეობა უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის ლიტერატურაზე, მუსიკაზე, თეატრსა და ზოგადად ხელოვნებაზე. მის მოტივებზე იქმნებოდა პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის ნიმუშები.

ზეპირსიტყვიერების შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან სეგმენტს ეროვნული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. ქართული ფოლკლორი ჩვენი ერის უმნიშვნელოვანესი განმთავანი გახლავთ. მისი შესწავლა და დაცვა კი აუცილებელი და საშური საქმიანობაა მომავალი თაობებისთვის, რათა შერნარჩუნებულ იქნას კულტურული იდენტობა და უნიკალური ხასიათი. ფოლკლორი არა მხოლოდ წარსულის ნაწილს წარმოადგენს, არამედ ცოცხალი კულტურული ტრადიციაა, რომელიც მუდმივად განვითარების რეჟიმში იმყოფება და მომავალ თაობებთან ერთად განიცდის ტრანსფორმაციას.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად წარმოგვდგენია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფოლკლორული მემკვიდრეობის შესწავლა. ამ ტერიტორიებზე მოპოვებული, შემორჩენილი მასალა უნიკალურია თავისი ხაიათით, მნიშვნელობითა და შინაარსით. ქვეყნის ამ ნაწილის კულტურული მემკვიდრეობისა და

იდენტობის დაცვის, მისი შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისთვის გაზიარების აუცილებლობის თვალსაზრისით ეს საკითხი დღეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და კიდევ უფრო მეტად აქტუალურია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბარნოვი, ვ. (1964). *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. X. თბილისი.
- კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.
- კოტეტიშვილი, ვ. (1934). *ხალხური პოეზია*. ქუთაისი.
- უმიკაშვილი, პ. (1937). *ხალხური სიტყვიერება*. ნაწილი პირველი. ლექსები, ანდაზები, გამოცანები. რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა. თბილისი: ფედერაცია.
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.
- ჭიჭინაძე, ვ. (1928). *რუსთაველის გარშემო*. ტფილისი.
- ხიზანიშვილი, დ. (1889). *ფშაური ლექსები*. თბილისი: „ივერიის“ რედაქციის გამომცემლობა.
- ჯაგოდნიშვილი, თ. (2004). *ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია*. წიგნი პირველი (XIX საუკუნე). თბილისი.
- ჯაგოდნიშვილი, თ. (2019). *ნარკვევები XX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან*. თბილისი.

### REFERENCES

- barnovi, v. (1964). *tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad [Complete Collection of Works in Ten Volumes]*. Vol. X. Tbilisi.
- k'ik'nadze, z. (2008). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.
- k'ot'et'ishvili, v. (1934). *khalkhuri p'oezia [Folk Poetry]*. Kutaisi.
- umik'ashvili, p'. (1937). *khalkhuri sit'qviereba [Folk Oral Tradition]*. nats'ili p'irveli. leksebi, andazebi, gamotsanebi [Part One. Poems, Proverbs, Riddles]. Edited, Biography, Foreword and Notes by F. Gogichaishvili. Tbilisi: Federation.
- chikovani, m. (1946). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.
- ch'ich'inadze, k'. (1928). *rustavelis garshemo [Around Rustaveli]*. Tiflis.
- khizanishvili, d. (1889). *pshauri leksebi [Pshav Poems]*. Tbilisi: Iveria Editorial Publishing House.
- jagodnishvili, t. (2004). *kartuli polk'lorist'ik'is ist'oria [History of Georgian Folklore]*. t Book One (19th Century). Tbilisi.
- jagodnishvili, t. (2019). *nark'vevebi XX sauk'unis kartuli polk'lorist'ik'is ist'oriidan [Essays from the History of Georgian Folklore of the 20th Century]*. Tbilisi.